ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეთნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. ივლისის 10 № 13 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოების V ყრილობის დადგენილებანი.

119. ამხ. გ. მგალობლიშვილის მოხსენების გამო საქართველოს სსრ დარაიონების შესახებ.

120. ამხ. ბ. ჯიჯინაძის მოხსენების გამო საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

121. ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გამო საქართველოს მთავრობის მოქმედების შესახებ.

122. ამხ. ს. ჯუღელის მოხსენების გამო სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საპერსპექტივო გეგმის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

123. სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 57 [1], 57 [2], 79 [1], 79 [2], 81 [1], 87 [1], 181 [1] და 181 [2] მუხლების დამატებისა და ამავე კოდექსის 79 მუხლიდან შენიშვნის ამოშლის შესახებ.

124. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 143 [1] მუხლის დამატების შესახებ.

125. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 და 20 მუხლების გაუქმების შესახებ.

126. „თავდაცვა-ავიაქიმის“ საზოგადოების მიერ მოსახლეობის გამხიდროებისათვის წარმოებული მეცადინეობის დროს დაშავებულ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა უზრუნველყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

127. სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის შესახებ.

128. „ქალაქებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალის შექმნის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

129. სამეცნიერო დარგის მომუშავეთა ბინებში იძულებითი შემშიდროებისა და გადასახლების აკრძალვის შესახებ.

130. საქართველოს სსრ სისს. სამ. კოდექსისათვის 127[1], 127[3], 127[3], და 127[4] მუხლების დამატებისა და ამ კოდექსიდან 69 მუხლის ამოშლის შესახებ.

131. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის დამატების შესახებ.

132. ისეთ საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ, რომლებითაც მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის უმაღლესი საკომანდო შედგენილობის პირთ ბრალდებათ ზოგიერთი თანამდებობრივი დანაშაული.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

133. სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის ღირებულების შეფარდების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მოქმედების ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე გავრცელების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

134. სენაკის მაზრის კურორტ „ლებარდე“-ს სამთო-სანიტარული ზონის დაწესების შესახებ.

135. საქართველოს სსრ საწარმოთა 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ.

136. სასარეწაო კოოპერაციის წევრ-შინამრეწველთა ეფექტური მდგომარეობის შესახებ.

137. კომუნალური ლომბარდების ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

138. მტკვარში და ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის რაიონში ორაგულისა და სხვა თევზის ბერის აკრძალვის შესახებ.

139. „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების რედაქციის შეცვლის შესახებ.

140. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დებულების შეცვლის შესახებ.

141. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო—იურიდიული განყოფილების დებულების რედაქციის შეცვლის შესახებ.

142. სამედიცინო და სავეტერინარო-დარგის მომუშავეთა და აჯრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა შვილების სასწავლებელში მიღების მხრივ მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ.

143. წითელი არმიის პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებების მიერ მოსაწყობ სანახაობათა და გასართობთა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

144. საქართველოს სსრ ქალაქებში მუშათა საბინაო მშენებლობის წახალისების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს V ყრილობის დადგენილებანი.

119. დადგენილება

ამხ. გ. მგალობლიშვილის მოხსენების გამო საქართველოს სსრ დარაიონების შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მეხუთე ყრილობამ მოისმინა ამხ. გ. მგალობლიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ დარაიონების შესახებ და დაადგინა:

1. იმ მიზნით, რათა შექმნილ იქმნეს რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის რაციონალური ორგანიზაციისათვის, რათა ადმინისტრატიული დაყოფა დაუკავშირდეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის და ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე რეკონსტრუქციისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას და რათა მიღწეულ იქნეს რაც შეიძლება სწორი ორგანიზაცია მშრომელთა სოციალურ-კულტურული ცხოვრებისა და გაძლიერდეს საბჭოთა აღმშენებლობის საქმე,—საჭიროდ იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ დარაიონების პრაქტიკული გატარება.

2. დარაიონება გატარებულ იქნეს სამ-საფეხურიანი ადმინისტრატიული დაყოფის სისტემით: ოლქი—რაიონი—სოფლის საბჭო.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიმუშაონ დარაიონების ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე თავისი ქვემდებარე ტერიტორიის დარაიონების სათანადო პროექტი და წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა დარაიონება მთელს რესპუბლიკაში გატარდეს იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს 1929 წ. ოქტომბრის 1-ლისათვის.

5. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საბოლოოდ შეიმუშაოს და მიიღოს, ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე, დარაიონების პროექტი და გამოსცეს: 1) დებულება საოლქო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ; ბ) აქტი, რომელიც დაადგენს დარაიონებული ერთეულების საბიუჯეტო უფლებებს; გ) ძირითადი დებულებანი საბჭოთა აპარატის რეკონსტრუქციის შესახებ ახალი დარაიონების მიხედვით.

6. დაეკალოს სათანადო ორგანოებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები 1929—30 წლისთვის შეადგინონ ახალი დარაიონების მიხედვით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე
ყრილობის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. აპრილის 13.
ქ. ტფილისი.

---

120. დადგენილება.

ამხ. ბ. ჭიკინაძის მოხსენების გამო საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშათა გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მეხუთე ყრილობამ მოისმინა ამხ. ბ. ჭიკინაძის მოხსენება საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და დაადგინა:

1. საქართველოს სსრ მთავრობის მიერ შემუშავებული საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა მოწონებულ იქნეს მისი პრინციპების მხრით და წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საფუძვლად დაუდვას იგი თავის მოქმედებას.

2. დაეკალოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საბოლოოდ დამტკიცოს ზემოაღნიშნული გეგმა და შეიმუშაოს სათანადო ორგანოებს სახელმძღვანელოდ უახლოესი წლებისათვის ამ გეგმიდან გამომდინარე პრაქტიკული ღონისძიებანი, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იქნეს საბჭოთა ყრილობაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე
ყრილობის თავმჯოდმარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე
ყრილობის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. აპრილის 13.
ქ. ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

121. დადგენილება

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გამო საქართველოს მთავრობის მოქმედების შესახებ.

მოისმინა რა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება საქართველოს სსრ მთავრობი მოქმედების შესახებ, სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მეხუთე ყრილობა სავსებით იწონებს მთავრობის მოქმედებას, რაც მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წარმატების უზრუნველყოფისაკენ, ხაზს უსვამს რა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და კულტურული და სოციალური მშენებლობის წინსვლის საქმეში—ყრილობა ამასთანავე ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით მომავალი მთავრობის სახელმძღვანელოდ აღნიშნავს შემდეგს:

ხრეწველობის დარგში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებაში სისტემატიურად და თვალსაჩინოდ იზრდება, საქართველო მრეწველობის ზრდის მხრით ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. ამის გამო ყრილობა საჭიროდ სცნობს გაძლიერებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი, უპირველეს ყოვლისა კი განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებას, რათა მრეწველობის ამ დარგის ხვედრითი წონა საქართველოს ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქციაში სათანადოდ გადიდდეს.

ამასთანავე, რადგანაც საქართველოს ბუნებრივი პირობები მეტად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის სამთო და სამთო-საქარხნო მრეწველობის განვითარებისათვის, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რათა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საქართველოს საწარმოო ძალთა გამოკვლევას და შესწავლას და ამ მხრივ უფრო რეალური შედეგების მიღწევას.

შემდეგ, იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩვენი მრეწველობა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ არის უზრუნველყოფილი ნედლი მასალით, რაც იწვევს, ერთის მხრით, ქარხნების არასათანადოდ დატვირთვას და, მეორეს მხრით, პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას, ყრილობა ავალებს მთავრობას მიიღოს ამ საქმეში გადამჭრელი ღონისძიებანი. ამ მიზნით მიღებულ უნდა იქნეს ენერგიული ზომები ჩვენი ქვეყნის ნედლეული რესურსების გამოყენების გასაძლიერებლად და მათ გასადიდებლად, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა არსებული და ახალი ტეხნიკური და სპეციალური კულტურების განვითარება; ამასთანავე საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს ნედლეულის გამოყენებისა და გადამუშავების საქმე ადგილობრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც საქართველოს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება საკმარისი არ არის და რადგანაც ის საკავშირო მრეწველობის თვითღირებულებასთან შედარებით თვალსაჩინოდ მაღლა სდგას, ყრილობა საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების განსახორციელებლად.

მიუხედავად მრეწველობის განუწყვეტლივ ზრდისა, სამრეწველო საქონლის ნაკლებობა ჩვენში ჯერ კიდევ საგრძნობია. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ყრილობას საჭიროდ მიაჩნია არსებული ქარხანა-ფაბრიკების სრული დატვირთვა და დაწყებული ქარხანა-ფაბრიკების რაც შეიძლება სწრაფი ტემპით დამთავრება და ამუშავება. ყრილობა ამასთანავე ავალებს მთავრობას დაჩქარებით დამუშავდეს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ჩვენი ქარხანა-ფაბრიკების გადაყვანა ორ და სამ ცვლაზე.

ყრილობა აღნიშნავს არა საკმაო მიღწევებს შრომის ნაყოფიერების დარგში, შრომის ნაყოფიერება დაბალ დონეზე სდგას, როგორც საერთოდ მთელს მრეწველობაში, ისე განსაკუთრებით მრეწველობის იმ დარგებში, რომელსაც აერთიანებს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. ამიტომ ყრილობა ავალებს მთავრობას გადადგას სათანადო ნაბიჯები ამ საქმეში დასახული გეგმის საფუძველზე განხორციელებისათვის. საჭიროა აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სარაციონალიზაციო მუშაობის გაძლიერებას.

იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩვენი მრეწველობა სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიკაციური მუშა-ხელით, ყრილობა საჭიროდ სცნობს ფართო მაშტაბით მოეწყოს კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება და გადამზადება.

მრეწველობის განვითარების და წარმატების საქმე მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამრეწველო მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხს, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საქმიროა სამრეწველო რაიონებში მუშათა ბინების მშენებლობის გაძლიერება.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ახალი მშენებლობის სათანადოთ გაიაფება ჯერ კიდევ განხორციელებული არ არის, მშენებლობა მიმდინარეობს ნელი ტემპით, ის ძვირი ჯდება და ხარისხითაც მეტ-ნაწილად დამაკმაყოფილებელი ვერ არის. მშენებლობის პროცესში ხშირად ხდება პროექტების შეცვლა და გადაკეთება, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს. ამიტომ ყრილობა ავალებს მთავრობას მიღებულ იქნეს გადამჭრელი ღონისძიებანი მშენებლობის უფრო ნორმალურად წარმოებისა და გაიაფებისათვის.

საჭიროა ყოველ მხრივ შეეწყოს ხელი საწარმოო მუშათა თათბირების გამოცოცხლებას და მათ ჩაბმას მშენებლობის საქმეში.

აღნიშნავს რა საქართველოს სს რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური ერთეულების მრეწველობის შედარებით სუსტ განვითარებას, თუმცა ამ მხრით საანგარიშო პერიოდში საგრძნობი გარდატეხა მოხდა, ყრილობა ავალებს მთავრობას გააძლიეროს ავტონომიური ერთეულების მრეწველობის განვითარების ტემპი. საჭიროა ავტონომიურ რესპუბლიკებში უპირველეს ყოვლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეწყოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმონი (სატყეო მრეწველობა, თუთუნი, ბამბა, აბრეშუმი, ტყავი და ხილის საკონსერვო ქარხნები).

სოფლის მეურნეობის დარგში.

ყრილობა ავალებს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომები მოსავლიანობის სისტემატიური ზრდის უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტემპის გაძლიერება, აგრო-დახმარების საქმის უფრო ფართოდ განხორციელება, სოფლის მეურნეობის მინერალური სასუქით მომაგრება და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის გაფართოვების საქმეს. მთავრობამ უნდა გაიღოს ამისათვის საჭირო სახსარი.

რადგანაც მუშა-საქონლის საკითხს სოფლის მეურნეობისათვის პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, ყრილობა ავალებს მთავრობას, გადადგმულ იქნეს პრაქტიკული ნაბიჯები ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშა-საქონლით უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქონლის ჯიშის გაუმჯობესებას. რადგანაც საძოვრების საკითხის მოუგვარებლობა ჩვენში არ იძლევა შესაძლებლობას მესაქონლეობის რიცხობრივი გადიდებისათვის საჭიროა ამ საკითხის მოგვარებას მთავრობამ მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. ამასთანავე აღნიშნავს რა თვალსაჩინო მიღწევებს საქონლის ჯირთან ბრძოლის საქმეში, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია განგრძობილ იქნეს ენერგიული მუშაობა ამ მიმართულებით.

იღებს რა მხედველობაში, რომ მიწათმოწყობის განხორციელება, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა სოფლის მეურნეობის განვითარებისა, დამაკმაყოფილებელი ტემპით ვერ მიმდინარეობს და რომ ეს ტემპი 1927/28 წლ. შენელდა, ყრილობა ავალებს მთავრობას დაჩქარებულ იქნეს მიწათმოწყობის ჩატარება და გამოინახოს სათანადო სახსარი სამიწათმოწყობო მუშაობის დაუბრკოლებლად წარმოებისათვის.

სამელიორაციო და საირიგაციო მუშაობის დარგში მთავრობამ ენერგიული ზომები უნდა მიიღოს მუშაობის ტემპის გაძლიერებისა და დაწყებული სამუშაოების საჩქაროდ დამთავრებისათვის, რისთვისაც საჭიროა მთავრობამ გაიღოს სათანადო სახსარი.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის განხორციელების მიზნით მთავრობამ უნდა იზრუნოს უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო იარაღების და ტრაქტორების გასავრცელებლად; ამასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღების და ტრაქტორების სრულიად და მიზანშეწონილად გამოყენებას. საჭიროა, რათა მოეწყოს სატრაქტორო კოლონები და გაუმჯობესდეს ტრაქტორების გამოყენების სისტემა.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ მეურნეობებს და საბჭოთა შამფლებს, რათა ისინი უზრუნველყოფილ იქმენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. სასოფლო-სამეურნეო კრედიტი სავსებით უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნეს გამოყენებული სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და საწარმოო პროცესების კოოპერატიულად ჩამოყალიბებისათვის. ყრილობა აღნიშნავს, რომ ეს ხაზი არ არის დღეს დაცული სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმეში. საჭიროა აგრეთვე სოფლის მეურნეობის კრედიტების სფეროში გადადებულ იქნეს გრძელვადიანი კრედიტის ხვედრითი წონა.

ყრილობა აღნიშნავს ღარიბთა დახმარებისა და მოსახლეობის კოოპერატიულად მოწყობის ფონდების სიმცირეს და ზოგჯერ მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, რისთვისაც ავალებს მთავრობას მიიღოს ზომები ამ ფონდების გასადიდებლად და მათ თავის დროზე დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

აღნიშნავს რა, რომ ჩვენი ქვეყნის ტყეების მოვლა-პატრონობა სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას, რის გამოც კვლავ გრძელდება ტყეების არარაციონალური გამოყენება და ხშირად კი მათი მტაცებლური ექსპლოატაციაც, ყრილობა ავალებს მთავრობას მიიღოს ენერგიული ზომები სატყეო მეურნეობის საქმის მოსაწესრიგებლად, კერძოდ, საჭიროა ტყეების მოწყობის სასწრაფო წესით ჩატარება და მათი დაცვის საქმის გაძლიერება.

საგზაო მშენებლობის დარგში.

იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სახალხო მეურნეობის განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია საგზაო მშენებლობის საქმესთან და რომ ჩვენი რესპუბლიკის გზების მდგომარეობა ძალზედ ჩამორჩება სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპს, ყრილობა საჭიროდ სცნობს გაძლიერებულ იქნეს მუშაობა საგზაო მშენებლობის საქმეში, განსაკუთრებით რესპუბლიკის ისეთ რაიონებში, როგორც არის ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრა და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური ერთეულები. ამასთანავე ენერგიული ზომები უნდა იქნეს მიღებული, ერთის მხრით უკვე დაწყებული გზების (ბევსუერეთის, სვანეთის და სხვ.) რაც შეიძლება სწრაფი დამთავრებისათვის და, მეორეს მხრით, არსებული გზების სათანადოდ შეკეთებისათვის.

კოოპერაციის დარგში.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საანგარიშო წლების განმავლობაში ჩვენმა კოოპერაციამ თვალსაჩინო ნაბიჯები გადადგა წინ. მიუხედავად ამისა კოოპერატიული მშენებლობა, რომელიც სოციალიზმის მთავარი ფუძეა, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ხელისუფლების ორგანოების მხრივ. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება იმ ნაკლთა (კლასიური ხაზის გამრუდება და სხვ.) გამოსასწორებლად, რაც შეჰჩნეულია სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერაციაში საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მოსახლეობის თავისუფალი სახსარის გამოენებას კოოპერატიულ ბრუნვაში და კოოპერაციის აპარატის გაჯანსაღებას.

სახალხო განათლების დარგში.

ყრილობა აღნიშნავს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების თვალსაჩინო მიღწევებს სახალხო განათლების საქმეში და ავალებს მთავრობას მიიღოს ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მები კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად. ყრილობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახალხო განათლების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკის უფრო ჩამორჩენილ რაიონებში და მაზრებში, როგორც არის ახალქალაქი, ბორჩალო, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი და სხვ.

აღნიშნავს რა, რომ მთელი რიგი სკოლები და სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწესებულებანი ჯერ კიდევ ვერ არიან უზრუნველყოფილი საჭირო და აუცილებელი მოწყობილობით, რაც მათ მუშაობას ძალზე აფერხებს, ყრილობა ავალებს მთავრობას გამონახოს სახსარი, რათა ჩვენი სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები მომარაგებულ იქნენ სათანადო კაბინეტებით, ლაბორატორიებით და სხვ. ამასთანავე საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების უკეთ მოწყობას, უმთარესად მათი სოფლის მეურნეობასთან მეტი დაკავშირების ხაზით.

ჯანმრთელობის დარგში.

ეღებს რა მხედველობაში—სახალო ჯანმრთელობის საქმის წარმატებით ზრდას, ყრილობას ამასთანვე საჭიროდ მიაჩნია მუშაობის შემდგომი გაძლიერება, განსაკუთრებით პროვინციაში და რესპუბლიკის ჩამორჩენილ რაიონებში (ახალ-ციხე, ახალქალაქი, ბორჩალო და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი). რათა სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნეს საექიმო-დახმარებით, საჭიროა სასოფლო-საექიმო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, არსებულ დაწესებულებათა ხარისხის გაუმჯობესება და საფერშლო პუნქტების თანდათან შეცვლა საექიმო პუნქტებად.

ამასთან ერთად საჭიროა გაძლიერებულ იქნეს საერთო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი სანიტარული ზედამხედველობის ორგანიზაციისა, სანიტარულ-პროფილაქტიურ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა, საგანმანათლებელი მუშაობის განვითარებისა და სოციალურ-პროფესიონალურ სენებთან ბრძოლის გადიდების საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მალარიასთან ბრძოლას—ქინაქინის შემოტანის გადიდებისა და ადგილების გამაჯანსაღებელ პროფილაქტიურ ღონისძიებათა გაძლიერების საშუალებით.

ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშთა სიკვდილიანობასთან ბრძოლას და მოსახლეობის გაჯანსაღებას ბავშობიდანვე, ყრილობა საჭიროდ სთვლის გამოყოფილ იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტით სათანადო სახსარი სოფლებში, სამრეწველო რაიონებში, მომთაბარეთა შორის და კოლექტიურ მეურნეობებში დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებების—კონსულტაციებისა, ბაგებისა, მშობიარეთა საწოლებისა და სასკოლო სასანიტარო ზედამხედველობის—მოწყობისათვის. მიღებულ უნდა იქნეს აგრეთვე ზომები მუშა-ახალგაზრდობის გაჯანსაღებისათვის და ფიზიკურ კულტურაზე საექიმო კონტროლის დაწესებისათვის.

აღნიშნავს რა საკურორტო საქმის განვითარების უაღრეს მნიშვნელობას, ყრილობა ავალებს მთავრობას სათანადო ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურორტების მშენებლობის გაძლიერებას და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მაქსიმალურად გამოყენებას.

ეროვნულ უმცირესობათა და კულტურული და ეკონომიური დონის ამაღლება.

ყირიმა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი მაზრებისა და რაიონების (ახალქალაქი, ახალციხე და ბორჩალოს მაზრები) კულტურული და ეკონომიური დონე მეტად დაბალია. ამის გამო ყირიმობას საჭიროდ მიაჩნია, მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები ამ რაიონების სახალხო მეურნეობისა და კულტურული ცხოვრების განვითარების ტემპის გასაძლიერებლად. კერძოდ, ყირიმობა ავალებს მთავრობას მომავალში სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრიდან ხსნებული რაიონების საჭიროებისათვის გადადებულ იქნეს ისეთი რაოდენობის თანხები, რაც უზრუნველყოფს მათი კულტურულ-ეკონომიური განვითარების სათანადო ტემპს.

სახელმწიფო სამეურნეო და კოოპერატიულ აპარატის გაჯანსაღება.

აღნიშნავს რა, რომ ბრძოლა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებისათვის და კერძოდ ბიუროკრატიზმის მოსპობისათვის, მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, სათანადო სიმტკიცით ვერ სწარმოებს და რომ ამ მხრით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ყირიმობა ავალებს მთავრობას აწარმოოს სისტემატიური და ულმობელი ბრძოლა საბჭოთა აპარატს საბოლოო გაჯანსაღებისათვის და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის. საჭიროა, რომ საბჭოთა აპარატი საბოლოოდ გაიწმინდოს გაუსწორებელი ბიუროკრატებისაგან, ძველი ტიპის ჩინოვნიკებისაგან და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან. ამასთან დაკავშირებით ყირიმობას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშათა კლასის და გლეხობის უფრო ფართოდ ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

წითელი არმია.

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საერთაშორისო ურთიერთობის დარგში მტკიცედ ადგია მშვიდობიანი პოლიტიკის გზას, ყველა მუშისა და გლეხისათვის ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის მტრები არ ცხრებიან და კვლავ განაგრძობენ, ამა თუ იმ სახით, მზადებას საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. იღებს რა მხედველობაში ამ გარემოებას, ყირიმობა ავალებს მთავრობას განაგრძონ მუშაობა ჩვენი წითელი არმიის განმტკიცებისათვის და მისი ბრძოლის უნარის გაძლიერებისათვის. განსაკუთრებით საჭიროა კონკრეტიული ზომების მიღება, სათანადო სახსარის გაღების საშუალებით, წითელი არმიის ნაწილების ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე
ყირიმობის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე
ყირიმობის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. აპრილის 15.
ქ. ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

122. დადგენილება

ამხ. ჯუღელის მოხსენების გამო სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საპერსპექტივო გეგმის შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მეხუთე ყრილობამ მოისმინა ამხ. ს. ჯუღელის მოხსენება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სას.-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საპერსპექტივო გეგმის შესახებ და აღნიშნავს, რომ გეგმა საერთოდ სწორად სახავს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარებას ტეხნიკური და სპეციალური კულტურების და სამრეწველო მესაქონლეობის ხაზით, ჰურეული კულტურების საერთო პროდუქციის გადიდებასთან ერთად, სოციალისტური სექტორის (კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სას. სამეურნეო კოოპერაცია) გაძლიერებისა და გაფართოების საფუძველზე.

საბჭოთა ყრილობა აღნიშნავს, რომ გეგმის სწორი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცედ და ურყევად იქნება გატარებული პრინციპი უღარიბეს გლეხობაზე დაყრდნობისა და საშუალო გლეხობასთან კავშირისა—სოფლის კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ.

გეგმით გათვალისწინებული ცალკე საკითხების გამო საბჭოთა ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი:

1. გეგმით გათვალისწინებული ტემპი საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა, რომლის მიხედვითაც ხუთწლედის ბოლოს კოლმეურნეობათა მიერ გაერთიანებულ უნდა იქნეს გლეხურ მეურნეობათა 16%, უნდა ჩაითვალოს მინიმალურად და მიღებულ უნდა იქნეს ყველა ღონისძიება, რათა კოლმეურნეობათა მშენებლობაში ჩაებას მშრომელი გლეხობის მეტი პროცენტი.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს კოლმეურნეობათა არა მარტო რიცხობრივი ზრდა, არამედ მათი ხარისხობრივი განმტკიცებაც,—კოლმეურნეობათა განვრცობისა, მათთვის საწარმოო საშუალებათა მიწოდებისა, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის სწორი ორგანიზაციისა და ნამდვილი და სწორი ორგანიზაციული და აგრონომიული ხელმძღვანელობის გზით.

2. საბჭოთა მეურნეობის დარგში ყრილობას, არსებულ მეურნეობათა განმტკიცებასა და გაძლიერებასთან ერთად, საჭიროდ მიაჩნია ახალი საბჭოთა მეურნეობების ფართო მშენებლობა, განსაკუთრებით ახლად მელიორაციაქმნილ და ახალი კულტურების განვითარების რაიონებში.

მომავალში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას რომ საბჭოთა მეურნეობების აგრიკულტურული და საჩვენებელი როლი გაძლიერებულ იქნეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა მეურნეობებში ჩაბმული სას.-სამეურნეო პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრების და ნივთიერი პირობების გაუმჯობესებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ითვალისწინებს რა სას.-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობას ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხურ მეურნეობათა ორგანიზაციისა, მათზე სოციალისტური სექტორის გავლენის უზრუნველყოფისა და მათთვის წარმოებითი დახმარების აღმოჩენის საქმეში, ყირილობა აღნიშნავს სას.-სამეურნეო კოოპერაციის რიცხვობრივი და ხარისხობრივი ზრდის მნიშვნელობას, რაც გეგმით გათვალისწინებულია. ამასთანავე, მიწოდება-გასაღების ოპერაციებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებითი კოოპერატიულად გაერთიანების განვითარებას სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების მიხედვით.

აღნიშნავს რა სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ყირილობას საჭიროდ მიაჩნია სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ძირითადი მასის კონტრაქტაქციის უზრუნველყოფა; ამასთანავე გაძლიერებულ უნდა იქნეს კონტრაქტაციის აგრიკულტურული და წარმოებითი როლი.

4. რადგანაც მცირე მიწიანობა, აგრარული მოსახლეობის სიჭარბე და პუერეულის დეფიციტი გვიკარნახებს ჩვენი პუერეული კულტურების მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდებას, ყირილობა აავლებს მთავრობას უახლოეს მომავალში დეტალურად შეისწავლოს მოსავლიანობის გადიდების საკითხი და გამოიმუშაოს სათანადო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოსავლიანობის გადიდების უფრო დიდი ტემპი, ვიდრე გეგმით გათვალისწინებულია (18%-ი).

5. აღნიშნავს რა იმ ტემპის სისწორეს, რაც გათვალისწინებულია გეგმით მემცენარეობის ცალკე დარგების, კერძოდ, ტეხნიკური კულტურების, ჩაის, მევენახეობის და სხვა განვითარების საქმეში,—ყირილობას საჭიროდ მიაჩნია დაჩქარებულ იქნეს სუბტროპიკული კულტურების განვითარება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრეწველობის ნედლეულობის ბაზის გაფართოებისა და იმპორტის შემცირების თვალსაზრისით.

6. ითვალისწინებს რა, რომ მესაქონლეობის რიცხობრივი და ხარისხობრივი განვითარების ძირითად პირობას საკვები ბაზის გაფართოება წარმოადგენს, ყირილობა აღნიშნავს იმ ღონისძიებათა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც ამ მიზნისაკენ არის მიმართული, კერძოდ, საკვები კულტურების განვითარების და საძოვრების მოწყობის დარგში.

ამასთან ერთად ყირილობას აუცილებლად მიაჩნია მეფრინველეობის ვანვითარების ტემპის დაჩქარება.

7. იმ ღონისძიებათა შორის, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების დასახული ტემპის უზრუნველსაყოფად გეგმით გათვალისწინებულია, საბჭოთა ყირილობას განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიაჩნია ღონისძიებანი სას.-სამეურნეო ტერიტორიის ორგანიზაციისათვის (მელიორაცია, მიწათმოწყობა და გადასახლება).

ითვალისწინებს რა მიწის ნაკლებობას და უვარგისი და ნაკლებად ვარგისი მიწების თვალსაჩინო რაოდენობას; ყრილობას უალრეს მნიშვნელობას აძლევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებულ დიდ სამელიორაციო (მორწყვა, ამოშრობა) სამუშაოთა დამთავრებას და ახალ სამუშაოთა დაწყებას.

ამასთანავე, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია დიდი ყურადღება მიექცეს წვრილ სამელიორაციო სამუშაოებს და მდინარეთა ნაპირების გამაგრებას.

ყრილობა საჭიროდ სცნობს გაძლიერებულ იქნეს მიწათმოწყობის წარმოება ისე რომ პირველ რიგში მოწყობილ იქნეს კოლმეურნეობანი.

რადგანაც წარსულში ჩატარებული მიწათმოწყობის შედეგი სავსებით დამაკმაყოფილებელი ვერ არის, ყრილობა ავალებს მთავრობას გამოიმუშაოს ახლო მომავალში მიწათმოწყობის სათანადო მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ისეთ მუშაობას, რომ მიწათმოწყობა სავსებით შეეფერებოდეს გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციას და კოოპერატიულად შეკავშირებას, ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობის განვითარებას და სოფლად კლასიური პოლიტიკის გატარებას.

8. საბჭოთა ყრილობას საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანად მიაჩნია ღონისძიებანი გლეხურ მეურნეობათათვის ძირითად საწარმოო საშუალებების მიწოდების დარგში (სას.-სამ. მანქანა-იარაღების, მუშა-საქონლის და მინერალური სასუქის მიწოდება, სას.-სამეურნეო შენობებით უზრუნველყოფა და სხვ.).

ამასთანავე ყრილობა საჭიროდ სცნობს უზრუნველყოფილ იქნეს არსებული სას.-სამეურნეო ინვენტარის, განსაკუთრებით რთულ სას.-სამეურნეო მანქანების, ტრიერების და ტრაქტორების, სრული დატვირთვით გამოყენება, რის გამოც ავალებს მთავრობას შეიმუშაოს და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი.

9. აღიარებს რა, რომ სათესლე მასალის გაუმჯობესებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, — ყრილობა აღნიშნავს სათესლე ფონდის შექმნის აუცილებლობას და მეთესლეობის ისეთი განვითარების საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს ხარისხოვანი და გაუმჯობესებული თესლის გლეხურ მეურნეობათა შორის მაქსიმალურად გავრცელებას.

10. იღებს რა მხედველობაში, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებისა და, კერძოდ, მოსავლიანობის გადიდების პრობლემა განსაკუთრებული სიცხოველით აყენებს ჩვეს წინაშე გლეხურ მეურნეობაზე აგრიკულტურული ზეგავლენის საჭიროებას, საბჭოთა ყრილობა საჭიროდ სცნობს ყოველგვარად ხელი შეეწყოს აგროორგანიზაციის გაძლიერებას, როგორც მისი რიცხობრიივი ზრდის ხაზით, ისე არსებული ქსელის გაწყობილობის გაუმჯობესებისა და აგრონომების კვალიფიკაციის აწევის მხრივ.

აღნიშნავს რა, რომ აგრიკულტურული ღონისძიებათა სისტემაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მარტო აგრიკულტურულ ღონისძიებათა მინიმუმის გატარებას და აგრო-რწმუნებულთა ინსტიტუტის შექმნას, საბჭოთა ყრილობა ავალებს მთავრობას განახორციელოს აღნიშნული ღონისძიებანი უახლოეს დროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

123. დადგენილება ც. ა. კ. და ხ. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 57[1], 57[2], 79[1], 79[2], 81[1], 87[1], 181[1], და 181[2] მუხლების დამატებისა და ამავე კოდექსის 79 მუხლიდან შენიშვნის ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 18-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 57[1], 57[2], 79[1], 79[2], 81[1], 87[1], 181[1] და 181[2] მუხლები შემდეგი შინაარსისა;

„მუხ. 57[1]. ისეთ ნაკვეთზე აღებული შენობა, რაც მუშათა ან საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობას უვადო სარგებლობისათვის მიეცა (71 მუხ. შენიშვნა), შეადგენს ამ ამხანაგობის **კოოპერატიულ** საკუთრებას: ამასთანავე, მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის უფლება განუყოფელად დაკავშირებულია შენობაზე საკუთრების უფლებასთან და მოისპობა ამ უფლების მოსპობასთან ერთად“.

„მუხ. 57[1]. მუშათა ან საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიული ამხანაგობის წევრს უფლება აქვს მუდმივად, მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ამხანაგობას აღნაგობის უფლება ან შენობაზე საკუთრების უფლება ექნება (მუხ. 57[1]), ისარგებლოს საცხოვრებელი სადგომი, რომლის სივრცე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი პაი ეკუთვნის ამ წევრს. საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიული ამხანაგობის წევრის ზემოაღნიშნული უფლება გადადის მემკვიდრეობით საერთო საფუძველზე“.

„მუხ. 79[1]- მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობას შეუძლიან თავისი აღნაგობის უფლება გაასხვისოს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოზე ან მუშათა საბინაო მშენებლობის სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციაზე, ხოლო საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობას შეუძლიან თავისი აღნაგობის უფლება გაასხვისოს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან კოოპერატიულ ორგანიზაციაზე.

იგივე წესი სათანადოდ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზედაც, როდესაც ანიშნულ ამხანაგობათა აღნაგობის უფლება იყიდება საჯარო ვაჭრობით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხ. 79². მუშათა და საერთო სამოქალაქო საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა აღნაგობს უფლების დაგირავება შეიძლება მარტოოდენ ისეთ სახელმწიფო ორგანოში, კოოპერატიულ ორგანიზაციაში ან საკრედიტო დაწესებულებაში, რომელთაც თვისი დებულების ან წესდების ძალით შეუძლიანთ დიაგირაონ აღნაგობის უფლება“.

„მუხ. 81¹. კერძო პირს არ შეუძლიან მუშათა ან საერთო საშოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა აღნაგობის უფლებაზე მიაქციოს გადახდევინება ამ ამხანაგობათა ვალდებულების გამო“.

„მუხ. 87¹, ის შენობა, რომელიც მუშათა ან საერთო-სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიული ამხანაგობის საკუთრებას შეადგენს, შეიძლება დაგირავებულ იქნეს მარტოოდენ ისეთ სახელმწიფო ორგანოში, კოოპერატიულ ორგანიზაციაში და საკრედიტო დაწესებულებაში, რომელთაც თვისი დებულების ან წესდების ძალით შეუძლიანთ დაიგირაონ შენობები“.

„მუხ. 181¹. კერძო პირს არ შეუძლიან მუშათა ან საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა ვალდებულების გამო გადახდევინება მიაქციოს ისეთ შენობაზე, რაც ამ ამხანაგობის კოოპერატიულ საკუთრებას შეადგენს“.

„მუხ. 181². ის შენობა, რომელიც მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატიული ამხანაგობის **კოოპერატიულ საკუთრებას** შეადგენს (მუხ. 57¹), შეიძლება ამ ამხანაგობის მიერ გასხვისებულ იქნეს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან სხვა რომელიმე მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობაზე, ხოლო ისეთი შენ.ბა, რომელიც საერთო-სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობის საკუთრებას შეადგენს, შეიძლება ამ ამხანაგობის მიერ გასხვისებულ იქნეს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან კოოპერატიულ ორგანიზაციაზე.

იგივე წესი სათანადოდ გავრცელდება იმ შემთხვევაზედაც, როდესაც აღნიშნულ ამხანაგობათა კუთვნილი შენობა იყიდება საჯარო ვაჭრობით“.

II.

სამოქალაქო სამ. კოდექსის 79 მუხლიდან ამოიშალოს შენიშვნა (კან. კრებ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 91).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ტატურა**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგ. **შ. მათიკაშვილი**.

1929 წ. მაისის 25.
ტფილისი—სასახლე.

124. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 143[1] მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კო. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე 2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოთა ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 143[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„**მუხ. 143[1].** ხელმძღვანელისა თუ ორგანიზატორის სახით კოოპერატიული ორგანიზაციის ამა თუ იმ ფორმის (საშინამრეწველო-სარეწაო, სასოფლო-სამეურნეო, სამომხმარებლო, საინვალიდო და სხვ.), გამოყენება კერძო ბრუნვისა და კერძო კაპიტალის განვითარების დასაფარავად, ექსპლოატატური მიზნების განხორციელებისათვის, გამოიწვევს—

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ და სამრეწველო ან სავაჭრო მუშაობის აკრძალვით.

მეწარმესათვის შეგნებულად ხელის შეწყობა ზემოაღნიშნული მიზნით კოოპერატიული ორგანიზაციის ფორმის გამოყენების საქმეში დამფუძნებლად ყოფნაზე თანხმობის განცხადებით ფაქტიური წევრობით და სხვ., უკეთუ დამნაშავე, როგორც თანამდებობის პირი, არ უნდა მიიცეს ამ ქმედობისათვის უფრო სასტიკ პასუხისგებაში, რაც დაწესებულია ამა კოდექსის მე-III თავში გათვალისწინებულ დანაშაულთათვის, გამოიწვევს—

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალთრი აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებული
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **შ. მათიკაშვილი.**

1929 წ. მაისის 25.
ტფილისი—სასახლე.

---

125. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 და 20 მუხლების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 და 20 მუხლები (კან. კრ. 1928 წ. მე-4 №-რი, მუხ. 28 და მე-14 №-რი, მუხ. 130).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
საქართველოს სსსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯომარე **ფ. მახარაძე.**
სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**
1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

---

126. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„თავდაცვა ავიაქიმის“ საზოგადოების მიერ მოსახლეობის გამხედროებისათვის წარმოებული მეცადინეობის დროს დაშავებულ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა უზრუნველყოფის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„თავდაცვა-ავიაქიმის“ საზოგადოების მიერ მოსახლეობის გამხედროებისათვის წარმოებული მეცადინეობის დროს დაშავებული მოქალაქენი და მათი ოჯახის წევრნი (ეს უკანასკნელნი ხსენებულ მოქალაქეთა სიკვდილის გამო) გათანასწორებულ იქნენ უზრუნველყოფის მხრით სამხედრო სამსახურის ინვალიდებთან და მათ ოჯახებთან და გავრცელებულ იქმეს მათზე მოქმედება „სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწევეულ პირთა ოჯახებისა ~~დ~~ აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის დებულებისა“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 133).

იმ პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელნიც გარეშენი არიან და მონაწილეობა არ მიუღიათ ზემოაღნიშნულ მეცადინეობაში, მოხდება სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საერთო წესით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**
1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

127. დადგენილება ს. ა. კ. და ს. კ. ს.

სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის შესახებ.

1. სათესი მასალის სარეველასთან ბრძოლისა, თვისების გაუმჯობესებისა, სასტანდარტო ჯიშების შექმნისა და რაიონობით გამოცდილი ჯიშიანი მასალით უჯიშო თესლის შეცვლისათვის არსდება ძირითადი კულტურების სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდი.

2. სახელმწიფო საჯიშო ფონდი შესდგება ცენტრალური რესპუბლიკანური და ადგილობრივი ფონდებისაგან.

3. სახელმწიფო საჯიშო ფონდი არსდება ნატურალური ფორმით და ნაწილობრივ ფულადი ფორმით და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია.

4. ცენტრალური სათესლე ფონდი ნატურალური ფორმით შესდგება სასელექციო ჯიშიანი თესლეულისაგან და, პირველ ხანს, აგრეთვე გაუმჯობესებული თესლეულისაგან.

5. ადგილობრივი სახელმწიფო ფონდები არსდება ნატურალური ფორმით და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილ-მამულო განყოფილებათა გამგებლობაშია.

6 სახელმწიფო საჯიშო ფონდების მიზანს შეადგენს საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიურ მეურნეობებისა და ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის ჯიშიანი სათესი მასალის მიწოდება.

7. სახელმწიფო საჯიშო ფონდები შეიქმნება:

ა) გაუმჯობესებული ჯიშიანი (სასელექციო) თესლის გამოყვანით;

ბ) ამ თესლის გამრავლებით ჯიშების სიწმინდის შეუცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სათესი მასალის გამრავლება მოხდება შემდეგი სქემის მიხედვით, რაც გატარებულ უნდა იქნეს რაიონებით:

ა) ელიტის წარმოება საცდელ სადგურებზე;

ბ) ელიტის პირველი გამრავლება (რეპროდუქცია) სადედე სანერგეებში და საცდელ სადგურებზე;

გ) მეორე რეპროდუქცია სათესლე სანერგეებში, რაც საცდელი სადგურების გამგებლობაშია;

დ) მესამე რეპროდუქცია სათესლე მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

ე) მეოთხე რეპროდუქცია კოლექტიურ მეურნეობებსა და სათესლე ამხანაგობებში კოლექტიურ და საგლეხო მეურნეობებისათვის უშუალოდ მიწოდების მიზნით.

9. სახელმწიფო ფონდების საბოლოოდ შექმნის ვადა განისაზღვრება 10 წლით.

10. თესლის წარმოებისა და თესლის მიწოდების საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და მოწესრიგება რესპუბლიკაში დაეკისრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

11. ცენტრალური სახელმწიფო ფონდი დანიშნულია:

ა) ადგილობრივი სახელმწიფო ფონდების შექმნისა და ხელისშეწყობისათვის;

ბ) ცალკე რაიონების კოლექტიურ მეურნეობისა და გლეხების მომარაგებისათვის ადგილობრივი ფონდის გამგე ორგანიზაციების მეშვეობით;

გ) გაუმჯობესებული და ჯიშიანი თესლის წარმოებისათვის;

დ) სათესლე ამხანაგობათა სახსარის გაძლიერებისათვის.

12. ადგილობრივი სახელმწიფო ფონდები დანიშნულია:

ა) გაუმჯობესებული და ჯიშიანი თესლეულით უწყებული რაიონის კოლექტიურ და საგლეხო მეურნეობების მასსიური მომარაგებისათვის;

ბ) სათესლე ამხანაგობებში სათესლე საქმის მოწესრიგებისათვის.

13. თესლის მიწოდება სწარმოებს თანდათანობით, ცალკე ჯიშების ერთიანი მასსიების შექმნის წესით.

14. გამრავლების დროს ჯიშების სიწმინდის დაცვისათვის სახელმწიფო კონტროლის გასაწევად მოეწყობა ქსელი საკონტროლო პუნქტებისა, რომელთა სათავეშიაც სდგას ცენტრალური საკონტროლო სათესლე სადგური.

15. სათესლე სესხი გაიცემა მხოლოდ ნატურალური ფორმით.

16. სათესლე სესხის გაცემის დროს მსესხებელთან დაიდება განსაკუთრებული ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათესლე სესხის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება.

17. სესხი დაბრუნებულ უნდა იქნეს უახლოესი მოსავლიდან ნატურად ან ფულად მსესხებლის არჩევით. უკეთუ სესხი ნატურად იქნება დაბრუნებული, იგი უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულ კონდიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. სათესლე სესხისთვის გადახდევინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს 4%-სა წლიურად; ამასთანავე, ღარიბი და კოლექტიურ მეურნეობებისათვის დადგენილია განსაკუთრებული შეღავათები, რის წესსა დი რაოდენობას განსაზღვრავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

19. ცენტრალური რესპუბლიკანური სახელმწიფო საჯიშო ფონდი შეიქმნება სმხელმწიფო ბიუჯეტში გადადებული სახსარით.

ადგილობრივი სახელმწიფო ფონდები შეიქმნება ადგილობრივი ბიუჯეტების სახსარით და ცენტრალური რესპუბლიკანური ფონდიდან გადადებული სახსარით.

20. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაეკალება გამოსცეს ინსტრუქცია ამა დებულების განხორციელებისათვის.

---

128. დადგენილება ს. ა. კ. და ს. კ. ს.

„ქალაქებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალის შექმნის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 30-ს დადგენილებით დამტკიცებული „მუშათა საბინაო მშენებლობისათვის ხელის შემწყობ ღონისძიებათა დებულების“ სამოქმედოდ შემოღების გამო (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 83 და 84) გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 9-ს თარიღისა და 30 №-ის დადგენილება „ქალაქებში საბინაო ფონდის სპეცუალური კაპიტალის შექმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-8 №-რი, მუხ. 62).

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმსრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებული კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი – სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

129. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამეცნიერო დარგის მომუშავეთა ბინებში იძულებითი შემჭიდროებისა და გადასახლების აკრძალვის შესახებ.

სამეცნიერო დარგის მომუშავეთათვის ნორმალური და გეგმაშეწონილი მუშაობის უზრუნველსაყოფად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამეცნიერო დარგის მომუშავეთა სექციის ბიუროში რეგისტრირებულ სამეცნიერო დარგის მომუშაეეთ დაეტოვებათ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი სამეცნიერო დარგის მომუშავის წოდებას ატარებენ, ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში, აგრეთვე საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემულ სახლებში მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სივრცე.

2. აკრძალულია 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა ბინებში რაიმე შემჭიდროებისა და გადასახლების მოხდენა და აგრეთვე სამეცნიერო დარგის მომუშავეთა იძულება, რათა მათ ოთახების შიგნით გაავლონ ტიხარები ან მოახდინონ ოთახების ასე თუ ისე გადაგეგმვა ამა თუ იმ მობინავისათვის ზედმეტი ოთახშიგნითა სივრცის ჩამოსართმევად, რა ზომისაც უნდა იყოს ეს ზედმეტი სივრცე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

---

130. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდექსისათვის 127^1, 127^2, 127^3 და 127^4 მუხლების დამატებისა და ამ კოდექსიდან 69 მუხლის ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდექსს დამატოს 127^1, 127^2, 127^3 და 127^4 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„127[1]. მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის, აგრეთვე სამძიებლო მილიციის აქტიური შედგენილობის პირთა მიერ სამსახურის თვითნებობით ვადამდე დატოვება გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას 300 მანეთამდე.

იგივე ქმედება, უკეთუ იგი ჩადენილია ბრძოლის პირობებში ან ომიანობის დროს,—

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე სასტიკი იზოლაციით“.

„127[2]. სამსახურის წესით გაცემული ბრძანების შეუსრულებლობა მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის, აგრეთვე სამძიებლო მილიციის აქტიური შედგენილობის პირთა მიერ გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე, ან იძულებით მუშაობას 1 წლამდე, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებაში სადისციპლინო წესდების შეფარდებას.

იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფის მიერ, უკეთუ მას ერთვის წინააღმდეგობის გაწევა და უკეთუ იგი ჩადენილია ბრძოლის პირობებში, ან უკეთუ მას მაგნე შედეგი მოჰყვა—

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე სასტიკი იზოლაციით“.

127[3]. მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის, აგრეთვე სამძიებლო მილიციის აქტიური შედგენილობის პირის მიერ ძალადმბილი მოქმედებით მეთაურისა ან უმცროსის მიერ უფროსის შეურაცყოფა, უკეთუ ამ დროს ერთი მათგანი მაინც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

შეურაცხყოფა, მიყენებული იმავე პირობებში სიტყვით ან არაძალადობით მოქმედებით,—

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებაში — სადისციპლინო წესდების შეფარდებას.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმავე პირობებში მეთაურის მიერ ხელქვეითის მიმართ ან უფროსის მიერ უმცროსის მიმართ—გამოიწვევს პასუხისმგებლობას იმავე საფუძველზე“.

„127[4]. საყარაულო ან საბადრაგო სამსახურის წესდების დარღვევა მილიციის საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის პირის მიერ გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებაში— სადისციპლინო წესდების შეფარდებას.

საყარაულო წესდების დარღვევა ისეთი ქონების ყარაულობის დროს, რასაც განსაკუთრებით უღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ან საყარაულო თუ საბადრაგო სამსახურის წესდების დარღვევა, უკეთუ მას შეჰყვა ის მაგნე შედეგი, რომლის თავიდან ასაცილებლადაც აღნიშნული ყარაული ან ბადრაგი იყო დაწესებული, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე სასტიკი იზოლაციით ან უამისოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია ბრძოლის პირობებში,—

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე სასტიკი იზოლაციით".

II. საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდექსიდან ამოიშალოს 69 მუხლი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

---

131. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახალხო ნოტარიატის დებულების 46 მუხლს (1928 წ. კან. კრებ. მე-16 №-რი, მუხ. 157) დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„პუნ. 3. საკრედიტო დაწესებულებათა ანაბარების შესახებ ცნობების მისაღებად და ანაბარებზე გადახდევინების მისაქცევად —სოციალური დაზღვევის სათანადო ორგანოს დადგენილებას, რომელიც გამოიტანება ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ სოციალური დაზღვევის საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის გადასახდელის ნარჩენების გადახდევინების დროს იძულებითი-უდავო წესის შეფარდების შესახებ" („შრომის კანონმდ. ვესტნ." 1927 წ. მე-17 №-რი) გამოცემული ინსტრუქციის მე-2 მუხ. თანახმად და რომელშიც აღინიშნება: ა) დადგენილების გამოტანის თარიღი, ბ) მენარჩენის სრული სახელწოდება, გ) დრო, რომლის განმავლობაშიაც ნარჩენი დაგროვდა და დ) ნარჩენის საერთო თანხა დადგენილების გამოტანის დღისთვის: ძირითადი შესატანისა საკუთ და საურავისა ცალკე; აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს, რომ ნარჩენის ფაქტიური დაფარვის დღემდე დაირიცხება საურავი და გადახდევინებით გამოწვეული ხარჯები".

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

132. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ისეთ საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ, რომლებითაც მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის უმაღლესი საკომანდო შედგენილობის პირთ ბრალდებათ ზოგიერთი თანამდებობრივი დანაშაული.

ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გადაისინჯებოდეს, დაწესებულ იქნეს, რომ ყველა ის საქმე, რომლითაც საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის უმაღლესი საკომანდო შედგენილობის პირს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 127^1, 127^2, 127^3 და 127^4 მუხლებში გათვალისწინებული თანამდებობრივი დანაშაული, ექვემდებარება, სისხ. სამ. საპრ. კოდ. 448 მუხ. მე 3 პუნქტის საფუძველზე, უზენაეს სასამართლოს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

133. დადგენილება C. ა. კ.

სოფლის მოსახლეობის ხაგზაო შრომის ბეგარის დებულების შეფარდების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მოქმედების ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე გავრცელების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ საბალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 4-ს დადგენილების თანახმად (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-რი, მუხ. 81) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური ადმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. სექტემბრის 5-ს დამტკიცებული (საქართველოს სსრ. კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-რი, მუხ. 46) „სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების“ შეფარდების შესახებ გამოცემული ინსტრუქციის მოქმედება გავრცელებულ იქნეს საქართველოს სსრ ყველა ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე, ქ. ქ. ტფილისისა, ფოთისა, ჭიათურისა, ბორჯომისა, ახალციხისა, სიღნაღისა, თელავისა, სოხუმისა, გუდაუთისა, ოჩემჩირისა და ბათუმის მოსახლეობის გამოკლებით.

2. აღნიშნული ინსტრუქციით გათვალისწინებული სათემო აღმასრულებელი კომიტეტების უფლება-მოვალეობანი ამ ინსტრუქციის ქალაქებში განხორციელების მხრით დაეკისროს იმ ადგილების საქალაქო საბჭოებს, სადაც ეს საბჭოები მოწყობილია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **შ. მათიკაშვილი**

1929 წ. მაისის 25.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 140 №-ში 1929 წ. ივნისის 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილება

134. დადგენილება ს. კ. ს.

ხენაკის მაზრის კურორტ „ლებარდე"-ს სამთო-სანიტარული ზონის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სენაკის მაზრის კურორტ „ლებარდე"-ს სამთო-სანიტარული ზონა საერთო სიერცით 1.250 ჰექტარი, შემდეგი საზღვრებით: ჩრდილოეთით—„ლებარდეს სუკი" 2.716 მეტრიანი მაღლობის მწვერვალიდან 2.270,82 მეტრის განფენილობით „დვირის თავის" 2.665,95 მეტრიანი მაღლობის მწვერვალამდე, აღმოსავლეთით—„ჩამვონის სუკი"—„დვირის თავიდან" მდინარე დვირის სათავემდე, სამხრეთით მდინარე დვირის სათავიდან მე-2 კვარტალის (საკვარტალო ბოძი) საზღვრებამდე და დასავლეთით—მე-2 და მე-3 კვარტალების საზღვრის გაყოლებით 2.716 მეტრიანი მაღლობის მწვერვალამდე.

2. აღნიშნულ ზოლში მდებარე ტყე ცნობილ იქნეს დაცვითი ტყედ და მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ხსენებული ტყის მეურნეობის გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 140 №-ში 1929 წ. ივნისის 21.

---

135. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ საწარმოთა 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ.

რათა საქართველოს სსრ საწარმონი გეგმიანად გადაყვანილ იქნენ 7 საათის სამუშაო დღეზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვა ორგანოებს, რომელთა განმგებლობაშიც იმყოფებიან 7 საათის სამუშაო დღეზე გადასაყვანი საწარმონი, მიიღონ ყველა ღონისძიება, რათა შვიდი საათის სამუშაო დღეზე ფაქტიურ გადაყვანას წინ უძღოდეს მომმზადებელი მუშაობა, რამაც უზრუნველ უნდა ჰყოს საათანადო საწარმოო-საფინანსო გეგმებით გათვალისწინებული შეუფერხებელი განხორციელება წარმოების გაშლისა და თვისებრივი გაუმჯობესებისა (ნედლეულით უზრუნველყოფა, დამატებითი გაწყობილების დადგმა, ¦თვითღირებულების შემცირება, საათანადო კვალიფიკაციის მუშა-ძალით და ტეხნიკური პერსონალით უზრუნველყოფა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაეკვალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვა ორგანოებსა და უწყებებს მიიღონ ღონისძიება, რათა მათ გამგებლობაში მყოფი და 7 საათის სამუშაო დღეზე გადასაყვანი საწარმონი პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნენ მათი კაპიტალური სამუშაოების თავის დროზე დაფინანსებით.

3. დაეკვალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატს მიიღონ ყოველივე ღონისძიება შრომის ვითარების გაჯანსაღებისათვის 7 საათის სამუშაო დღეზე გადასაყვან ყველა საწარმოში, და პირველ რიგში ისეთ საწარმოში, სადაც შემოღებულია მომუშავეთა დამატებითი ცვლა; ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო ასიგნება საწარმოო-საფინანსო გეგმებით.

4. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, განათლების სახალხო კომისარიატსა და შრომის სახალხო კომისარიატს მიიღონ ღონისძიება, რათა მოწყობილ იქნეს მუშაობა შეგირდების წარმოებითი სწავლებისა და მუშების მომზადებისათვის, იმ პირობით, რომ ისინი მიეჩვევნენ ახალ რაციონალური მუშაობის წესს შრომის სამეცნიერო ინსტიტუტებისა და წარმოების ახალი ტეხნიკის მიღწევათა საფუძველზე.

5. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და განათლების სახალხო კომისარიატს საფაბრიკო სკოლრბნი შეგირდების სკოლების მუშაობა აამაღლონ იმ დონემდე, რომ იგი აკმაყოფილებდეს წარმოების მოთხოვნილებას კვალიფიციური მუშა-ძალის მიმართ, რომელსაც შეთვისებული უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება სრულყოფილი მეთოდები მუშაობისა.

6. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატს მოაწყონ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასაყვან საწარმოთათვის საჭირო კვალიფიციური მუშების მომზადება იმ უმუშევართაგან, რომელნიც ირიცხებიან შრომის სახალხო კომისარიატის საშუამავლო ორგანოების აღრუსხურებაზე, იმ პირობით, რომ ამ ღონისძიებით მიღწეულ იქნეს საწარმოთათვის თავის დროზე საჭირო კვალიფიციური მუშა-ძალის მიწოდება.

7. დაეკვალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატსა და განათლების სახალხო კომისარიატს გააძლიერონ ღონისძიებანი 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ საწარმოთა მუშების ყოფაცხოვრებისა და კულტურულ საქიროებათა მომსახურეობისათვის (ბავშვთა ბაგები, საავადმყოფოები, სკოლები) და ეს ღონისძიებანი უზრუნველჰყონ სათანადო ასიგნებებით.

8. დაეკვალოს საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასაყვან საწარმოთათა მუშები უზრუნველყოფილ იქნენ რეგულიაროული და მოხერხებული მიმოსვლის საშუალებით და მათივე საჭიროებისათვის შეფარდებულ იქნეს ვაჭრობის წარმოების საათები.

9. დაეკვალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოაწყოს საწარმოთა 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის წარმოებითი-ეკონომიური შედეგების ისტემატიური დაკვირვება და შესწავლა.

Ს საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 127 №-ში 1929 წ. ივნისის 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

136. დადგენილება ს.კ.ს.

სასარეწაო კოოპერაციის წევრ-შინამრეწველთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 21-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 30 №-რი, მუხ. 267) 26 მუხლისა—1928 წ. ნოემბრის 23-ს დადგენილების რედაქციით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-2 №-რი, მუხ. 9)—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სასარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალი წარმოებითი არტელების წევრნი, რომელნიც საერთო სახელოსნოებში მუშაობენ, კომუნალური მომსახურეობისათვის სასყიდლის გადახდისა და შვილების სწავლების შეღავათების მხრით გათანაბრებულ იქნენ დაქირავებულ მუშებთან..

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მაისის 21.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 140 №-ში 1929 წ. ივნისის 21.

---

137. დადგენილება ს.კ.ს.

კომუნალური ლომბარდების ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ა/კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 28 მუხ. „თ“ პუნ. (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მომქმედი კომუნალური (საქალაქო) ლომბარდები ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს დავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მაისის 28.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

138. დადგენილება ს. კ. ს.

მტკვარში და ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის რაიონში ორაგულისა და სხვა თევზის ჭერის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს ორაგულის და სხვა თევზის ჭერა წელიწადის რა დროც უნდა იყოს მდინარე მტკვარსა და მის ტოტებში ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურისათვის მიჩენილი ტერიტორიის სანაპირო ზოლის ფარგლებში.

2 აიკრძალოს ორაგულის ჭერა მდინარე მტკვარსა და მის ტოტებში, აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრიდან დაწყებული, ვიდრე ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საგუბრამდე, თებერვლის 1-დან ივლისის 1-მდე.

3. ამა დადგენილების 1 და 2 მუხლების მოქმედება არა ვრცელდება იმ თევზის ჭერაზე, რასაც აწარმოებს აზერბაიჯანის სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბაქოს იხტიოლოგიური ლაბორატორია.

4. აიკრძალოს საგუბრებისა და სხვა ღობერების გამართვა ამა დადგენილების 1 და 2 მუხლებში აღნიშნულ რაიონებში.

5. აიკრძალოს ამა დადგენილების 1 და 2 მუხ. აღნიშნული ხნის პერიოდში ორაგულის გაყიდვა თევზის მრეწველობის ზედამხედველობის სათანადო ნებართვის გარეშე.

6. ამა დადგენილების 1, 2 და 4 მუხლების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხოლო მე-5 მუხლის დარღვევისათვის—იმავე კოდექსის 111 მუხლის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომერე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მაისის 28.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 132 №-ში 1929 წ. ივნისის 12.

---

139. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 3-ს დადგენილებაში „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-5 №-რი, მუხ. 40) შეტანილ იქნეს შემდეგი სარედაქციო ცვლილება:

1. 1-ლი მუხლის შენიშვნა ამოშლილ იქნეს.

2. მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა ყველა იმ საკითხის გამო, რაც საქართველოს სსრ მთავრობის დავალებათა და მინდობილობათა შესრულებასთან არის დაკავშირებული, უშუალოდ მიმართავს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავრობებს და აგრეთვე რესპუბლიკანურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს“.

3. მე-3 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მინდობილობის შესრულების ვადას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი, როგორც საერთო წესი, შეუთანხმებს დაინტერესებულ უწყებას და დაწესებულებას და ამ ვადას დამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე“.

„გ) მინდობილობის შესრულების ვადის გადადება შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევაში; ამასთანავე, მინდობილობის განსაზღვრულ ვადაზე შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მიზეზის აღნიშვნით, უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას წინასწარ, ყოველ შემთხვევაში, მინდობილობის შესრულების ვადის გასვლამდე. უკეთუ მინდობილობის შესრულების ვადის გადადება აუცილებელია, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი, რესპუბლიკანურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, დაადგენს მინდობილობის შესრულების ახალ ვადას და წარუდგენს მას დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს“.

4. მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მინდობილობის შესრულებისათვის თვალყურის დევნება სათანადო უწყებაში დაეკისრება სახალხო კომისარს (ან დაწესებულების პასუხისმგებელ ხელმძღვანელს) ან ერთ-ერთ მის მოადგილეს, რომელიც დავალების მიღებისას შეიმუშავებს მისი აღსრულების გეგმას, გაანაწილებს აღსრულებასთან დაკავშირებულ მუშაობას თავის აპარატში და დანიშნავს აღნიშნული დავალების პასუხისმგებელ აღმსრულებელს“.

5. მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ მთავრობის მინდობილობათა შეუსრულებლობის მიზეზის სსწრაფო გამორკვევა, როგორც-კი ამის შესახებ აცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს მას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბ-ჭოს საქმეთა მმართველი“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

---

140. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დებულების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 3-ს დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-ჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დებულების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-რი, მუხ. 14) მე-3, 4, 5, 6 და 7 მუხლები შე-იცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხ. 3.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სათავეში სდგას საქართველოს სოც. საბჭ, რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონო-მიური საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და რომელსაც აქვს სათათბირო ხმის უფლება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბ-ჭოს და ეკონომიური საბჭოს სხდომებში.

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველს ჰყავს მუდმივი მოადგილე“.

„**მუხ. 4.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველს უფლება აქვს:

ა) წარმართოს, კანონით დადგენილი წესისამებრ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს ყველა საქმე, მისცეს ხელმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უწყებებსა და დაწესებულებებს, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავ-მჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილ**ის** დირექტივების თანახმად, სათა-ნადო განმარტება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარ-თა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ განსახილველი საკითხების შემუშა-ებისა და შეთანხმების შესახებ, მოსთხოვოს საქართველოს სოც. საბჭ. რეს-პუბლიკის უწყებებსა და დაწესებულებებს საჭირო მასალა და ანგარიშები სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა შესრულების შესახებ, დაბრუნოს ესა თუ ის საქმე და კანონ-პროექტი დამატებითი შემუშავებისათვის;

ბ) მოიწვოს ხოლმე საუწყებათაშორისო და პერსონალური კომისიები და თათბირები საქმეთა მმართველობის მუშაობის პროცესში აღძრული საკითხების განსახილველად;

გ) განაგოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვით ასიგნებული კრედიტები;

დ) დასდოს ყოველგვარი სამოქალაქო გარიგება, რაც საჭიროა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სამეურნეო მომსახურეობისათვის".

„**მუხ. 5.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შედგენილობაში შედის:

ა) საერთო განყოფილება, რომელიც შესდგება კანცელარიისა, საერთო რეგისტრატურისა, პირადი შედგენილობის ნაწილისა, მანქანით გადამწერთა ბიუროს და არქივისაგან;

ბ) სარედაქციო-იურიდიული განყოფილება;

გ) საინფორმაციო განყოფილება;

დ) საადმინისტრაციო-სამეურნეო განყოფილება, რომელიც შესდგება მატერიალური ნაწილისა, სატრანსპორტო ნაწილისა გარაჟითურთ, სტამბისა და კომენდატურისაგან;

ე) საანგარიშო-საფინანსო განყოფილება;

ვ) საოქმო ნაწილი;

ზ) საიდუმლო ნაწილი;

თ) აღსრულების კონტროლის ნაწილი.

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებები და ნაწილები შესდგება თანამშრომლებისაგან კანონით დადგენილი წესისამებრ დამტკიცებული შტატის მიხედვით".

„**მუხ. 6.** განყოფილებათა გამგეებს დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი; საქმეთა მმართველის მოადგილეს და სარედაქციო-იურიდიული განყოფილების გამგეს—სახალხო კომისართა საბჭოს უფროს იურის კონსულტს—დანიშნავს სახალხო კომისართა საბჭო".

„**მუხ. 7.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებათა და ნაწილთა სტრუქტურა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სარედაქციო-იურიდიული განყოფილება მოქმედობს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების თანახმად".

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

---

141. დადგენილება ს. ქ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო-იურიდიული განყოფილების დებულების რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სათაური საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 8-ს დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოსთან არსებული სარედაქციო-იურიდიული განყოფილების შესახებ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1298 წ. მე-2 №-რი, მუხ. 15) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებული სარედაქციო-იურიდიული განყოფილების შესახებ".

2. ზემოაღნიშნული დებულების 1-ლი მუხლის შესავალი ნაწილი, იმავე მუხლის „კ" და „ლ" პუნქტები, მე-2 და 5 მუხლები, მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი და მე-8 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 1 (შესავალი ნაწილი). „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებობს სარედაქციო-იურიდიული განყოფილება, რომელსაც დაეკისრება:"

1-ლი მუხლი პუნ. „კ". „შეადგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს, მათი თავმჯდომარისა ან მისი მოადგილეებისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის დავალებით იურიდიული ხასიათის ყოველგვარი მოხსენება და ქაღალდი."

1-ლი მუხლის პუნ. „ლ". „შეასრულოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის სპეციალური მინდობილობა."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 2. „სარედაქციო-იურიდიული განყოფილების სათავეში სდგას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უფროსი იურისკონსულტი, რომელიც განაგებს ამ განყოფილებას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის საერთო ხელმძღვანელობით და რომელსაც თანამდებობაზე დანიშნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.“

მუხ. 5. „უფროსი იურისკონსულტი სარედაქციო-იურიდიული განყოფილების ქვემდებარე საკითხებს მოახსენებს, კუთვნილებისამებრ, სახალხო კომისართა საბჭოს, ეკონომიურ საბჭოს, მათ თავმჯდომარეს ან მის მოადგილეებს, და სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველს.“

მე-7 მუხლის მე 2 ნაწ. „უკეთუ გამოსაქვეყნებელი დადგენილების ტექსტის საბოლოო რედაქციის დროს უფროსი იურისკონსულტი აღმოაჩენს მომქმედ კანონმდებლობასთან რაიმე შეუთანხმებლობას, რაც სარედაქციო წესით არ შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს, იგი მოვალეა წერილობით მიაქციოს ამ გარემოებას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის ყურადღება.“

მუხ. 8. „უფროს იურისკონსულტს უფლება აქვს მოსთხოვოს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის მეშვეობით, საქართველოს სსრ ყველა უწყების და დაწესებულების სათანადო მასალებისა და ცნობების წარმოდგენა და აგრეთვე პასუხისმგებელი წარმომადგენლის გამოგზავნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა რედაქციაში მონაწილეობის მისაღებად.“

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 4.
ტფილისი — სასახლე.

---

142. დადგენილება ს.ძ.ს.

სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეთა და აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა შვილების სასწავლებელში მიღების მხრივ მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ.

სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეთა და აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა შვილებისათვის განათლების მიღების გასაადვილებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სამედიცინო და სავეტერინარო დარგის იმ მომუშავეთა და აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის იმ სპეციალისტთა შვილებს, რომელთაც საბ-

ჭოთა ხელისუფლების დროს სოფელ-ადგილას და მუშებით დასახლებულ ადგილას უმუშავნიათ არა ნაკლებ 3 წლისა, მათ შორის აღნიშნული კატეგორიების გარდაცვლილ პირთა შვილებსაც, რომელთაც უმუშავნიათ აღნიშნული დროის განმავლობაში, მიენიჭოს სასწავლებელში შესვლისათვის ყველა ის უპირატესობა, რაც მუშების შვილებს აქვთ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

---

143. დადგენილება ს. კ. ს.

წითელი არმიის პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებების მიერ მოსაწყობ სანახაობათა და გასართობთა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლებულ იქნეს ყველა სანახაობა და გასართობი, რასაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი წითელი არმიის ნაწილების პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულებები მოაწყობენ, ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სანახაობა და გასართობი იმართება მხოლოდ წითელარმიელებისათვის და მათზე სამხედრო უწყებისათვის გარეშე პირნი არ შეიშვებიან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 11.
ტფილისი—სასახლე.

---

144. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ქალაქებში მუშათა საბინაო მშენებლობის წახალისების შესახებ.

საქართველოს სსრ ქალაქებში მუშათა საბინაო მშენებლობის წახალისების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს დაუბრკოლებლად მიუჩინონ მიწის ნაკვეთები მუშებსა და მოსამსახურეებს ინდივიდუალური აღნაგობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მუშა-მოსამსახურეთათვის მიწების მიჩენა ინდივიდუალური აღნაგობისათვის უნდა სწარმოებდეს შემდეგ საფუძველზე:

ა) მიწის ნაკვეთები მიჩენილ უნდა იქნეს სივრცით 300-დან 450 კვ. მეტრამდე ფასადით არა ნაკლებ 15 მეტრისა სიგრძით;

ბ) ნაკვეთი გაიცემა 65 წლის ვადით; ამასთანავე, ხელშეკრულება აუცილებლად დადებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით.

გ) საალნაგო უფლების შესახებ დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეაღნაგის ვალდებულება, რომ იგი საცხოვრებელი სახლის შენებას შეუდგება ორი წლის განმავლობაში დღიდან ხელშეკრულების დადებისა;

დ) მიჩენილი მიწის ნაკვეთის დაგეგმვა—მასზე სკვერებისა, ქუჩებისა, მოედნებისა და საზოგადო სარგებლობის ნაგებობის აღნიშვნით—სწარმოებს ადგილობრივ საბჭოების ძალებით უფასოდ;

ე) მიჩენილ ნაკვეთებამდე ქუჩების გაყვანა და აგრეთვე კანალიზაციისა, წყალსადენისა, განათებისა და ქვაფენილების მოწყობა სწარმოებს ადგილობრივი საბჭოების ხარჯზე.

3. გაცემულ ნაკვეთებზე შენობები აიგება ადგილობრივი საბჭოების მიერ დამტკიცებული გეგმების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 11.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 142 №-ში 1929 წ. ივნისის 11.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა

შეკვეთა № 2033. მთავლიტი 1081 ტირაჟი 1250.